

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა



**მარია ლორთქიფანიძის სახელობის  
ქართველოლოგიური სამეცნიერო კითხვანი**

თბილისი  
2022

## **ზურაბ გაიპარაშვილი**

*ისტორიის დოქტორი,*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*ბიბლიოთეკის დირექტორი*

### **ქართული დიპლომატიის ისტორიის ერთი დეტალის დასაზუსტებლად**

ამ სტატიას სხვა სათაურიც მიესადაგებოდა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი პედაგოგის ბიოგრაფიის უცნობი დეტალის დასაზუსტებლად“, რადგან ჩემი ინტერესის სფერო მუდამ იყო თბილისის უნივერსიტეტის ისტორია. სწორედ ამ პოზიციიდან მიხედოდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში მოღვაწე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგის ალექსანდრე მდივანის ბიოგრაფიის შესწავლა.

ალექსანდრე მდივანი იმ შენობას, რომელშიც მოგვიანებით თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა და რომელშიც 1944 წლიდან მოყოლებული მოღვაწეობდა, როგორც უნივერსიტეტის ლექტორი, უფრო ადრე დაუკავშირდა, მაშინ, როდესაც აქ სათავადაზნაურო გიმნაზია გაიხსნა. მანამდე, როგორც ცნობილია, გიმნაზიას საკუთარი შენობა არ ჰქონია და სწორედ ამის გამო საგანგებოდ აშენდა ეს გრანდიოზული ნაგებობა. 1906 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართულმა სათავადაზნაურო გიმნაზიამ „ახალმოსახლეობა“ იზეიმა ამ შენობაში, 1914 წლამდე ამ გიმნაზიის დირექტორი იყო ალექსანდრე მდივანი.

„ალ. მდივანი სამოცზე მეტი წლის განმავლობაში ვის არ შეხვედრია, – წერდა სოლომონ ხუციშვილი 1963 წელს ალექსანდრე მდივანის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით, – ვისთან ერთად არ უმუშავია. მას ბედნიერება ჰქონდა, შეხვედროდა ჩვენი კულტურის დიდ და გამოჩენილ ადამიანებს, თავდადებულ მოღვაწეებს: ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ხახანაშვილს და ივანე ჯავახიშვილს, ალექსანდრე გარსევანიშვილს და ექვთიმე თაყაიშვილს, ქართული მწერლობის, თეატრის, პრესის, პედაგოგიკის გამოჩენილ წარმომადგენლებს. მათი შთაგონებით და მათთან ერთად, ალ. მდივანი უანგაროდ იღვწოდა ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.“ (ხუციშვილი 1963).

ალექსანდრე მდივანის შესახებ საყურადღებო მოგონება დაგვიტოვა ცნობილმა პედაგოგმა და ბელეტრისტმა აპოლონ ვართავაძემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

გამგეობის წევრების სილუეტების“ ციკლში. იგი ალექსანდრე მდივ-ნის, როგორც ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგი-ლის, შესახებ წერს: „ალ. მდივანი თბილისის სათავადაზნაურო ქართუ-ლი გიმნაზიის დირექტორი იყო. მდივანი განათლებით ისტორიკოსი იყო და სადღაც წინათ მასწავლებლობდა. მდივანი მაშინ შედარებით ახალგაზრდა იყო; საშუალო ტანისა, ხმელ-ხმელი, შავი პირისახის, მა-გრამ ჭრელ-თვალებიანი, დადიოდა ცოტაოდენ წინ წაწეული და ცო-ტაოდენი რხევით. ყოველთვის კოხტად იცვამდა. ლაპარაკობდა ექსპ-რესიით და ცდილობდა თავისი საუბრისთვის დამაჯერებელი, ხან კი ოდნავ დამცინავი და ირონიული ხასიათი მიეცა. საერთოდ, როგორც იმერელი და აზნაურთა წრიდან გამოსული, დარდიმანდი, ზრდილო-ბიანი, თავაზიანი იყო. ფედერალისტების პარტიაში თვალსაჩინო როლს თამაშობდა“ (ვართაგავა 1962:246).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ორი ადგილი სოციალისტ-ფედერალისტებს ერგოთ. იუსტიციის მინისტრი გახდა შალვა ალექსი-მესხიშვილი, ხოლო განათლების მინისტრის პორტფელი ჩააბარეს გიორგი ლასხიშვილს, რომლის მოადგილედ დაინიშნა ალექსანდრე მდივანი. „ლასხიშვილი, მართლაც, დიდად განათლებული, ნიჭიერი მწერალ-მოდვანე იყო, მაგრამ, როგორც არა პედაგოგს, მას აუცილებლად გაუძნელდებოდა სწავლა-აღზრდის და სკოლების ხელმძღვანელობა. ამისთვის ფაქტიური ხელმძღვა-ნელობა სწავლა-აღზრდის საქმეში მდივანს მიახლოებდა; მდივანმა კი სამინისტროს საქმის გამგებლობა ვუკოლ ბერიძეს გადასცა. ამნა-ირად, რამდენიმე წლის განმავლობაში მდივანი და ბერიძე იყვნენ სამინისტროს მმართველნი და სრული ბატონ-პატრონი“ (ვართაგავა 1962:247).<sup>1</sup>

ალექსანდრე მდივანის ბიოგრაფიას ვიხილავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში დაცულ მის პირად საქმეში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (ყოფილი პარტარქივის ნომენკლატურულ ბარათზე). რამდე-ნიმე საგაზეთო სტატიასა თუ მოგონებაშიც შესაძლებელია მისი ცხო-ვრების გზის გაცნობა. ხელმისაწვდომი დოკუმენტების მიხედვით, ალექსანდრე მდივანი დაიბადა 1873 წელს ქუთაისში, ლარიბი აზნაუ-რის ოჯახში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ

<sup>1</sup> ამავე მოგონებაში ი. ვართაგავა ალექსანდრე მდივანის შესახებ წერს, რომ „როგორც ერთი-ერთი ლიდერთაგანი ფედერალისტებისა, გაყვანილ იქნა დამფუძნებელ კრების წევრად“. აქ ავტორი ფაქტობრივ შეცდომას უშვებს: დამფუძნებელი კრების წევრი ალექსანდრე კი არა, არამედ იყო სიმონ (სვი-მონ) მდივანი (სხვა სახელი სოსიკო მდივანი) (1876–1937), დიპლომატი, სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი, თავმჯდომარის მოადგილე.

უმალესი განათლების მისაღებად შევიდა ოდესაში ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მეორე კურსიდან ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე გადავიდა. მისი პედაგოგები იყვნენ პროფესორები ნიკოლაი ლანგე, ალექსანდრ კირპიშნიკოვი, ვასილ ისტრინი, რობერტ ვიპერო, ივან ლინიჩენკო, რომლის ხელმძღვანელობით დაწერა ნაშრომი „Экономическое и юридическое положение крестьян юго-западной Руси в 16 веке по Литовскому статуту“, რამაც დადებითი გამოხმაურება მოუტანა მთელ უნივერსიტეტში. სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტური წრეების მუშაობაში, იყო ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა მამასახლისი და უნივერსიტეტის სტუდენტთა მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარე. სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის 1899 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს სტუდენტთა დიდი ჯგუფი, მათ შორის, ალექსანდრე მდივანიც. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი აღადგინეს. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1901 წ.) ალ. მდივანმა მუშაობა დაიწყო ისტორიის მასწავლებლად ოდესის გიმნაზიაში. ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას იგი კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. როგორც უნივერსიტეტის ისტორიკოსთა საზოგადოების წევრს, არ გაუწყვეტია კავშირი უნივერსიტეტთან, მის პროფესორ-მასწავლებლებთან. მუშებისთვის საჯარო ლექციებს კითხულობდა. 1902 წელს ოდესის ჟანდარმერიამ დააპატიმრა, იატაკქვეშა რევოლუციური ლიტერატურის გავრცელების გამო. გათავისუფლების მერე კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. 1904-05 წლებში ოდესაში გამართული პოლიტიკური მიტინგების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მომხადარი ამბოხების დროს იმყოფებოდა ოდესაში და მონაწილეობდა ებრაელთა თავდაცვის ოპერაციაში.

1905 წელს ალ. მდივანი სამშობლოში დაბრუნდა და კომერციულ სასწავლებელში დაიწყო მუშაობა ისტორიის მასწავლებლად. 1906 წელს, „მავნე ჟურნალისტური საქმიანობის“ გამო, თბილისის გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით, გაასახლეს თბილისიდან.

1907-1917 წლებში, პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობდა, მუშაობდა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, დრამატულ, საისტორიო საზოგადოებაში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც იყო. ალექსანდრე მდივანის მოღვაწეობის მთავარ სფეროს მოსახლეობაში საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენდა, მრავალი წლის განმავლობაში „ღარიბ მოწაფეთა შემწე სათავადაზნაურო საზოგადოების“ წევრიც იყო, ხოლო 1906 – 1914 წლამდე ამ საზოგადოების დაფუძნებული ქართული გიმნაზიის

დირექტორის თანამდებობა ეკავა. ალ. მდივანი ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, არაერთი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული მსოფლიო ისტორიისა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება“, „ახალი მიმართულებანი ისტორიაში“, „1848 წლის რევოლუცია საფრანგეთში“ და სხვა.

1917 წელს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის დადგენილებით, სასწავლო დაწესებულებათა მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მივლინებულ იქნა ჩრდილო კავკასიაში. ამავე წელს კავკასიის სასწავლო ოლქის კომიტეტის წევრად დაინიშნა. 1915 წლის შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის, რეალური სასწავლებლის, ქიმიის, საფეიქრო, სამინათმეოქმედო ტექნიკუმების დირექტორად. მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ალ. მდივანი იყო ინდუსტრიული ინსტიტუტის ქართული და რუსული ენების კათედრის გამგე, სამედიცინო ინსტიტუტის ენების კათედრის გამგე (ა.ბ. მდივანი 1967).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918-1919 წლებში განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1901-1921 წლებში იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი. 1921 წლის ივნისში ალ. მდივანმა გადასცა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს წერილობითი განცხადება და გამოხატა სრული ლოიალობა და მორჩილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ („В июне 1921 года я вручил председателю революционного комитета Грузии письменное заявление о том, что советы рабочих и крестьян признаны типом демократии, формой диктатуры пролетариата способом управления государством без буржуазии и против буржуазии и выразил полную лояльность и покорность Советской власти.“) (მდივანი 1951:3).

1921-1938 წლებში მუშაობდა ტექნიკუმებში, მუშათა ფაკულტეტებზე, უმაღლეს სასწავლებლებში.

1938 წელს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დადგენილებით, დააპატიმრეს, 1940 წლიდან გადაასახლეს ყაზახეთში, გათავისუფლდა 1943 წელს. როგორც ახლობლები იგონებენ, გადასახლებიდან დაბრუნდა ნანამები, ხელის თითებზე აღარ ჰქონდა ფრჩხილები.

1945 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„С 1945 года работаю в Тбилисском Государственном Университете имени Сталина. Веду педагогическую и научную работу. Заканчиваю довольно большую работу “Мировые государства и единство мира в

истории с древнейших времён до конца 19 века“. Собираю материал для новой работы – „Представители русской интеллигенции в Грузии в первой половине 19 века“. (მდივანი 1951)

ალექსანდრე მდივანი გარდაიცვალა 1967 წელს.

ამ საინტერესო ბიოგრაფიის გარდა, არსებობს აქამდე ნაკლებად ცნობილი ინფორმაცია ალექსანდრე მდივნის მოღვაწეობიდან, რომელსაც თავად წერს საკუთარ ავტობიოგრაფიაში, აგრეთვე, რომელსაც ადასტურებს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული გრიგოლ (გიგო) რცხილაძისთვის საბერძნეთიდან მის მიერ გამოგზავნილი წერილები.<sup>1</sup> საქმე ეხება ალექსანდრე მდივნის დიპლომატიურ საქმიანობას.

საისტორიო ლიტერატურის მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოები გაიხსნა საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, რუსეთში, თურქეთში, არგენტინაში, მანჯურიაში (დაუშვილი 2001:341). სხვა მკვლევრის ნაშრომის თანახმად, ჩამონათვალს ემატება საელჩოები შვეციაში, ნორვეგიაში, აშშ-ში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში (შარაძე 2003:150).

„სხვადასხვა პირები სპეციალური მინდობილობებით ელჩებად ხშირად იგზავნებოდნენ სხვა ქვეყნებში, მაგალითად, არგენტინაში გაიგზავნა ანდრია დეკანოზიშვილი, ამერიკაში – ილია გოლდმანი, შვედეთში – მიხეილ წერეთელი, დანიაში – არისტო ქუმბაძე, საბერძნეთში – პეტრე ჩინიჭაშვილი და სხვა“ (დაუშვილი 2001:348).

საბერძნეთში ელჩად ჩინიჭაშვილს ასახელებს ასევე გიორგი შარაძე (კითხვის ნიშნით), კონსულად კი – ჩინგოზაშვილს (შარაძე 2003:156).

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონის“ თანახმად, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობასთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩოები, საკონსულოები თუ დიპლომატიური წარმომადგენლობები გაიხსნა საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, რუსეთში, ოსმალეთში, არგენტინაში, მანჯურიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, აშშ-ში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში. არგენტინაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ანდრია დეკანოზიშვილი იყო, ხოლო არგენტინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – ლუკას ეირეგეირა (Lucas Ayarragaray). საფრანგეთში სრულუფლებიან ელჩად

<sup>1</sup> ამ წერილების შესახებ ინფორმაცია მომანოდა ისტორიკოსმა ლელა სარალიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

დაინიშნა აკაკი ჩხენკელი, ხოლო საელჩოს პირველ მდივანად – სოსიპატრე ასათიანი; გერმანიაში საქართველოს ელჩი იყო ვლადიმერ ახმეტელი; შვეიცარიაში (ბერნში) – მიხეილ სუმბათაშვილი, საელჩოს პირველი მდივანი – ვლადიმერ გურჯიძე; ჟენევაში, ერთა ლიგასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი – ხარითონ შავიშვილი; ბელგიაში – ანტონ ჟორჟოლიანი, ატაშე – ალექსანდრე ქუთათელაძე; შვეიცარია და ნორვეგიაში – მიხეილ (მიხაკო) წერეთელი; იტალიაში – კონსტანტინე საბახტარაშვილი, საელჩოს პირველი მდივანი – გიორგი მაჩაბელი (მოგვიანებით, იგი თავად გახდა ელჩი იტალიასა და ავსტრიაში), ეკონომიკური წარმომადგენელი – მიხეილ ყაუხჩიშვილი, კონსული – გიორგი აფხაზი; დიდ ბრიტანეთში – დავით ლამბაშიძე, პირველი მდივანი – ანდრია გუგუშვილი, მდივანი – ვიქტორ ნოზაძე; არგენტინაში – ანდრია დეკანოზიშვილი; ოსმალეთში (კონსტანტინოპოლში) – მთავრობის რწმუნებული – კონსტანტინე გვარჯალაძე, კონსული – იოსებ გოგოლაშვილი, ეკონომიკური წარმომადგენელი – ივანე ქაჯქანიძე; ანკარაში ქვემო ფაშას მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სვიმონ მდივანი იყო, სამხედრო მრჩეველი – გენერალი ალექსანდრე ერისთავი, საქმეთა მწარმოებელი – არისტო ქუმბაძე, ატაშე – მელიტონ ქარცივაძე და ზია აბაშიძე, ოფიცრები დავალებათათვის – ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი (გენერალ ჯონ-მალხაზ და ოთარ შალიკაშვილების მამა); მანჭურიაში, ხარბინში – ნიკოლოზ ჯიშკარიანი; აშშ-ში წარმომადგენლად – ილია გოლდმანი, მოგვიანებით – დავით ლამბაშიძე, ხოლო 1926 წ. დევნილი მთავრობის კონსულად ვასილ დუმბაძე გაიგზავნა; რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში (მოსკოვში) თავდაპირველად გაბრიელ ხუნდაძე, ხოლო შემდეგ გერასიმე მახარაძე დაინიშნა; ნოვოროსიისკში კონსული – პეტრე ჩინიჭიშვილი; შორეულ აღმოსავლეთში კონსული – ჯერ ფრანსუა თუმანოვი იყო, ხოლო შემდეგ – კირილე თუმანოვი; უკრაინაში – ბიქტორ თევზაია, ბაქოში – ივანე ქარცივაძე; ჩეხოსლოვაკიაში – გიორგი აიოლო; პოლონეთში პირველი ელჩი სიმონ სიდამონ-ერისთავი იყო, მოგვიანებით – იოსებ სალაყაია, კონსული – სერგო ყურულაშვილი; საბერძნეთში (ათენში) – ჩილინჯიშვილი, კონსულად – ჩინგოზაშვილი. გარდა ამისა, ევროპასა და ამერიკაში სხვადასხვა დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური წარმომადგენლები იყვნენ: იოსებ ელიგულაშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი, მათე სკობელევი და სიმონ შიფრინი“ (სარალიძე 2018:372).

ალექსანდრე მდივანი ავტობიოგრაფიაში წერს: „В 1919 году (с марта по август) по поручению правительства Грузии выехал в Грецию в качестве дипломатического представителя Грузии и вернулся из Греции

самовольно признав своё пребывание там бесцельным, бесполезным. Вернувшись на Родину снова приступил к педагогической и журнальной деятельности“ (მდივანი 1951).

საყურადღებოა, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები არა მხოლოდ კიდევ ერთხელ ადასტურებს ცნობას ალექსანდრე მდივანის დიპლომატიური საქმიანობის შესახებ, არამედ საქართველოს დიპლომატიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიისთვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, კერძოდ, საბერძნეთში მოღვაწე დიპლომატების თვალთვალის (შესაბამისად მათი ქვეყნების მთავრობების) დანახულ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პერსპექტივას.

წერილები დაწერილია საქართველოს დიპლომატიური მისიის ბლანკზე (Mission Diplomatique DE LA Republique Georgienne a Athenes).

„პოლიტიკურ რევოლუციებსაც ვერ მოახტენს დღევანდელ პირობებში საბერძნეთის მუშათა კლასი, რომელიც ზედმეტად მდორეა; მრეწველობა სრულიად არ არის განვითარებული; საბერძნეთში დღეს მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა, უმთავრესი სახსარი სახელმწიფოსი და ხალხის არსებობისა სოფლის მეურნეობაა... მაგრამ დავანებოთ თავი ამას; სჯობს ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ. ვინახულე დიდი ბრიტანეთის ელჩი; მიმილო კარგად; მუსაიფმა ერთი საათი გასტანა; დამოკიდებულება კარგია. მე ვერ მოგწერ დაწვრილებით, თუ რა ვილაპარაკეთ, ავღნიშნავ მხოლოდ ერთ მომენტს, რომელსაც შენთვის და ჩვენთვის საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც იტალიელების ჯარების შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში შევხებთ, მან ნათელი, პირდაპირი კითხვა დამისვა: „გთხოვთ მინისტრო, მითხრათ, ქართველი ხალხი უფრო იმედით უცქერის იტალიელებს და უნდა წავიდნენ ინგლისელები, თუ არა?“ მე პირდაპირი პასუხი თავდაპირველად არ მივეცი და შემდეგ მოვახსენე: როდესაც ხმა გავარდა იტალიელი ჯარების შემოსვლის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, მე უკვე ტფილისიდან გამოსული ვიყავით-ქო. მართალი გითხრათ, ამ გარემოებამ ის აზრი დაბადა, რომ ვითომ ინგლისის კარგი განწყობილება ჩვენდამი შეიცვალა, ჩვენდამი პოლიტიკა გამოიცვალა, ვინაიდან ლონდონიდან ცნობები გქონდათ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიმპატიით ეპყრობა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამ გარემოებამ შეგვანუხა. ინგლისის ელჩმა ხელმეორედ შემეკითხა – გინდათ თუ არა ინგლისელების წასვლაო. მე გადავეცი, რომ დღეისთვის არა ვიცი, რაგზას ადგია ჩემი მთავრობა, უკანასკნელი ამბები ხელთ არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ რომ ჩვენი ხალხი დიდის სიყვარულითა და იმედით უყურებს ინგლისს და დარ-



წმუნებულია, რომ მხოლოდ ინგლისის უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. მართალია, პირველ ხანებში იყო გაუგებრობა ინგლისის სარდლობასა და ჩემი მთავრობას შორის, მაგრამ დარწმუნებული ვარ დღეს სრულიად ნორმალური განწყობილებაა მათ შორის. ამის შემდეგ ელჩმა მთხოვა, ნება მომეცით შევატყობინო ჩემს მთავრობას, რომ საქართველოს ხალხი არ არის ინგლისის წინააღმდეგი და მისი დარჩენისა საქართველოს დაცვისათვის. კარგად მოვიქეცი თუ ცუდად, მე თანხმობა მივეცი. საერთო ჩემი შთაბეჭდილება: ინგლისს უნდა ჩვენში იყოს და არ არის საქართველოს უსათუოდ რუსეთთან შეერთების მომხრე.

ვიყავი აგრეთვე ამერიკის ელჩთან. თითქმის ორი საათი გასტანა ჩემმა ბაასმა მასთან. დიდის გულდასმით მომისმინა, განსაკუთრებით ისტორიული ნაწილი და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის აღწერა, დიდად დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიური ცხოვრებით და დაწვრილებით, რაც კი შესაძლებელი იყო ცნობები მივაწოდე; არა ნაკლებ აინტერესებს მას განწყობილება ჩვენი მეზობლებისადმი. დიდად მოხარული დარჩა, როდესაც განვუცხადე, რომ საქართველოს მთავრობა იმ აზრისაა, რომ ყოველგვარი უთანხმოება ჩვენი და ჩვენი მეზობლებისა შეთანხმებით შესაძლებელია გათავდეს. გაახარა იგი ჩემმა განცხადებამ, რომ სომხეთთან ჩვენ გვინდოდა და გვინდა ძმური, მეზობლური კავშირი. – ამერიკის ელჩი დიდი ექსპანსიური ადამიანია. არა მალავს თავის სიმპატიას საქართველოსადმი. მას პირველ შესაძლებლობისთანავე სურვილი აქვს საქართველოში ჩამოვიდეს, მაგრამ მასთან ერთად ის არ მალავს და ამბობს, უთანასწორობისა და სხვა მოსაზრებების გამო პატარა ერებს არ შეუძლიათ სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ. საჭიროა ფედერაციები და კონფედერაციები და აგრეთვე გარანტიები. აქვე მკითხა ფართო და დიდი სახელმწიფოების მიერ დაცული სრული ავტონომია რომ მოგანიჭოს პარიზის კონფერენციამ, ქართველი ხალხი იქნება წინააღმდეგი თუ არა რუსეთთან კავშირისა. მე ვუპასუხე: თუ საკითხი პრინციპიალურად იქნება დასმული ფედერაციის და კონფედერაციის წინააღმდეგ ჩვენ არა გვაქვს რა; პრაქტიკულად კი ბევრის საწინააღმდეგო საკითხები იბადება; ფედერაციის და კონფედერაციის შექმნისათვის არის საჭირო გარკვეული ეროვნული, კულტურული, ეკონომიური და პსიხოლოგიური პირობები; მაგრამ ამგვარი კავშირის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთა თანასწორობისა და თავისუფლების გზით და საშუალებით. ჩვენ არ გვძულს რუსეთი; მან მართალია დაარღვია ჩვენთან ხელშეკრულება, გაგვიბატონდა, ბევრი უსამართლობა თავს მოგვახვია, მაგრამ ფიზიკურად გადავრჩით და შევინარჩუნეთ სულიერი სიძლიერე და სიყვარული თავისუფლებისადმი, რუსეთისათვის ჩვენ გვსურს ბედნიერება, მოლონიერება, განკურ-

ნება – დიდად ავით არის დღეს იგი, გამდიდრება, სიძლიერე, მაგრამ დღეს ვერ ვიფიქრებთ მასთან ფედერაციას ან და კონფედერაციას. ამერიკის ელჩმა მიპასუხა: მე არ მინდა მაინცდამაინც მოგიწოდოთ რუსეთთან ფედერაციისთვის ანდა კონფედერაციისათვის, მაგრამ ამოდენა პატარა სახელმწიფოების დაარსება და არსებობა სრულიად დამოუკიდებლად შეუძლებელია; უნდა გამოინახოს ფორმა ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად; უნდა გამოინახოს ერთა თანაცხოვრების ფორმა, რომ ამ თანაცხოვრებასთან და გაერთიანებასთან ერთად დაცული იყოს ყოველმხრივი განვითარება თვითეული ერისა; ყოველ შემთხვევაში მე საქართველოს დღეიდან უფრო კარგად ვიცი, მინდა მისთვის ბედნიერება, და რაც ჩემის მხრით შეიძლება, მისი თავისუფლების მომხრე ვიქნები; მე არ შემძლია ყველა საკითხები, რაც გავარჩიეთ ამერიკის ელჩთან დღეს მოგწერო და გაგიმარტო.

ჩემთან იყვნენ უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე და რამდენიმე წევრი; ისინი აქ უკვე ხუთი თვე არიან; ორი თვის განმავლობაში საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს არ მიუღია; თავადაპირველად ძრიელ გულგრილად შეხვედრიან და უფრო კარგი განწყობილება ჩამოუგდიათ საერთოდ ყველასთან.

შენ უნდა ინახულო მანდ უკრაინელების მისია, ვერ წარმოიდგენ, როგორი სიყვარულითა და პატივისცემით მე მომეპყრენ, მზად არიან ყოველისფერი გამიკეთონ. უნდა გითხრა დიდი დახმარება გამინიეს; მთელს ინფორმაციას ინგლისურისა და ფრანგული გაზეთებისას ისინი მაძლევენ; ელჩებთან მათი თარჯიმანი დამყავს (მაგ. ინგლისელთან).

ასეა ჩემი საქმე, თუმცა შენი არ იყოს, მეც ვბედავ ფრანგულად ლაპარაკს ელჩებთან.

გიგო! ეხლა საქმე აი რაშია: მე მთხოვეს ელჩებმა პატარა მემორანდუმში წარვადგინო საქართველოს შესახებ; საჭიროა მქონდეს პარიზის დელეგაციის მემორანდუმში, რომელიც ნაზაროვს არ წამოუღია; გარდა ამისა შესაძლებელია მანდ ჰქონდეს ცნობები სტატისტიკური ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ერთი სიტყვით სუყველა ის ცნობები, რომელიც მემორანდუმისთვისაა საჭირო; შენ ეს კარგად იცი თვითონ ეს მასალა და ცნობები გადმომიგზავნე, რაც შეიძლება მალე, ამ წერილის მიღების თანავე.

გარდა ამისა ვინაიდგან მარტო ნაზაროვის დახმარებით მე დიდად მიჭირს, ფრანგული წერა მას არ ეხერხება როგორც რიგია და საჭიროა და აქ ჩემთვის ზედმეტად საძნელოა სანდო პიროვნების შოვნა და უკრაინელების შეწუხება დიდად მეძნელება ყოველთვის. უნდა წამოვიდეს ჩემთან ათი დღით მამა პეტრე, მაგრამ წამოვიდეს იმგვარი გემით, რომელიც ან პირდაპირ პირეიში მოდის, არ შეივლის სმირნა-

სა და სოლონიკში, ანდა იმ იტალიელი ან და ფრანგის გემით რომელიც კორინთში (საბერძნეთში) შემოივლიან, რადგანაც კორინთიდან ათონამდის ოთხი საათის მანძილია რკინის გზით. გამოატანე. საფრანგეთის ელჩი ეხლა კარგ განწყობილებაშია ჩვენთან, თუმცა ამბობს, ოფიციალურად არ შემიძლია თქვენთან საქმე დავიკავო...

საზოგადოებაში კარგი განწყობილებაა ჩვენდამი. ამ მხრით მისიამ თავისი დანიშნულება შეასრულა. მეტს ველარ გწერ, ვერ ვასწრებ, ყველა ქალაქები მე უნდა დავსწერო“ (საისტორიო არქივი, 2-10).

„30. აგვისტო 1919

ძმაო გიგო!

[ნიაზამოვი] ჩამოვიდოდა მანდ და მეკი დღემდის მისგან არ მომსვლია, შენ წერილი გამოგიგზავნე და შენთან მოლაპარაკების შემდეგ დაუყოვნებლივ ტელეგრამა უნდა გამომეგზავნა. არ ვიცი რაშია საქმე. მე ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრთან. მიმილო ოფიციალურად – დაესწრენ დეპარტამენტის უმფროსები და მდივანი; შემდეგ განცხადება გააკეთა – საბერძნეთი სავსებით იზიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას; მთელი თავისი ძალღონით დაეხმარება ამ საკითხში; ჩვენ მხოლოდ ოფიციალურ ნაბიჯს დღევანდელ პირობებში ვერ გადავდგამთ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ რა მდგომარეობაშია საბერძნეთი; მას არ შეუძლია ომისა და ზავის საკითხებში თავისუფალი ნაბიჯების გადადგმა, თუ შეთანხმების სახელმწიფოებს არ შეეკითხა; ეს ჩვენი მათთან ხელშეკრულებაა.

ამისთვის ვიმეორებ – მითხრა მინისტრმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს დამოუკიდებლობას და ვიმედოვნებ სულ მალე ოფიციალურ ნაბიჯებს გადავსდგამთ.

როდესაც ვუთხარი, რომ მე შესაძლებელია ჩემი მინისტრის განკარგულების გამო უნდა წავიდეთ იქ დროებით, მან მითხრა, – ვიმედოვნებ მალე დაბრუნდებით, უნდა დაბრუნდეთ, თქვენ და ჩვენ ბევრი საქმეები გვაქვს საერთოო.

რაც შეეხება ათონის მონასტრის ამბავს, მითხრა სპეციალური გამოძიებაა დანიშნული და ეჭვს გარეშე თქვენ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებო.

დღეს რვა საათზე საგარეო საქმეთა მინისტრთან ვარ მიპატიჟებული, ხვალ მე დავპატიჟე რამდენიმე მთავარი მოხელეები სამინისტროსი, შესაძლებელია მინისტრიც იქნეს. ფულის საქმე ცუდათ არის, ვისტუმრებ მეორე ბერძენს, – ბილეთში ვაძლევ 160 დრახმას, სასტუმროს ფული გავისტუმრე და ასოცი დრახში კიდევ მივეცი, სხვა მანდ უნდა მოუხერხოთ და როგორმე გაისტუმროთ ბათუმში.

იყავი კარგად, სალამი, შენი საშა მდივანი,

P.S. როგორც ფული მომივა, გამოვალ.“ (საისტორიო არქივი, 2–10).

ამ დოკუმენტების მიხედვით, დაბეჭითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ალექსანდრე მდივანი იყო საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საბერძნეთში 1919 წელს, რაც გასათვალისწინებელია საქართველოს დიპლომატიის ისტორიისა თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეპოქის შესწავლისას.

### დამონმებული ლიტერატურა:

- ა.ბ. მდივანი, (1967, 16 იანვარი). გაზ. თბილისის უნივერსიტეტი.
- დაუშვილი რუსუდან, საქართველოს ლეგაცია და საელჩოები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 8, თბ., 2001.
- ვართაგავა, ი. (1962). *მოგონებები*. (ნაწ.2). თბილისი.
- მდივანი, ა. (1951). Автобиография. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი.
- საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმე 212.
- სარალიძე, ლ. (2018) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე დამოუკიდებლობის აღიარება, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი*. 2018, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შარაძე გიორგი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003.
- ხუციშვილი, ს. (1963, 15 ნოემბერი). ალექსანდრე მდივანი. გაზ. *ღიგეხაგუ-ხუდი საქართველო*.

**Zurab Gaiparashvili**

*Doctor of history (PhD)*

*The Head of the library of Ivane Javakishvili  
Tbilisi State University*

## **„To Clarify the detail of the history of Georgian diplomacy”**

In the article, for the first time, are published the documents, preserved in the archives of the Ivane Javakishvili Tbilisi State University and The Central Historical Archive of Georgia, on the grounds of which a previously unknown fact in the history of Georgian diplomacy is established. In particular, in 1919, the head of the diplomatic mission of the Democratic Republic of Georgia in Greece was Alexander Mdivani.

, Alexander Mdivani held a high position In the government of the Democratic Republic of Georgia, as the representative of the Socialist-Federalist Party– the post of Deputy Minister of Education. After the occupation of Georgia by Russia, he declared his loyalty to the Soviet government; however, he could not escape the repressions. He was arrested and exiled for several years. Since 1945, he had been engaged in long-term pedagogical activities at Tbilisi State University.